



მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესრულების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ანგარიშზე

2018 წელი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
დასკვნა შემოსულობების ნაწილზე.....	4
დასკვნა გადასახდელების ნაწილზე	5
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება აგრეგატულ დონეზე	9
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	10
2.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	10
2.1.1 საგადასახადო შემოსავლები.....	12
2.1.2 სხვა შემოსავლები	12
2.1.3 დივიდენდები	13
2.2 არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა	15
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	16
3.1 ხარჯები.....	16
3.2 ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდა.....	19
4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	20
5. შრომის ანაზღაურება.....	21
6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია.....	22
7. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გადანაწილებები	25
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფონდები	26
8.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი	26
8.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.....	28
9. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები.....	29
10. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	30
11. მხარჯავი დაწესებულებების საკუთარი შემოსავლები.....	31
12. აღრიცხვა-ანგარიშგება	33

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება „2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“; ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

დასკვნა შემოსულობების ნაწილზე

- 2017 წლის საბალანსო მონაცემებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 285 088.5 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 112,7%-ია. შემოსულობების კომპონენტების საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაჩვენებლები დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ:
 - 2017 წელს „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობამ 25 921,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 138,0%-ია;
 - „სხვა შემოსავლების“ ცალკეული კომპონენტის კუთხით საბიუჯეტო გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით - „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“ ხასიათდება, რომლის 2017 წლის გეგმის შესრულება 238,0%-ს შეადგენს;
 - 2017 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 33 185,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 157,6% -ია.
- შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის არაარგუმენტირებულად, წინა წლის ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებზე ნაკლები ოდენობით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, რომლის მიხედვით, „სხვა შემოსავლების“ 2017 წლის გეგმური მაჩვენებელი 6 620,0 ათასი ლარით განისაზღვრა, მაშინ როცა, 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, შემოსავლების აღნიშნულ კომპონენტში მობილიზებული იყო 10 278,0 ათასი ლარი. მიუხედავად აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, მდგომარეობა არ შეცვლილა 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრისას, სადაც „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 3 783,0 ათასი ლარით შემცირებულად დაიგეგმა. ამასთანავე, მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მკვეთრი გადახრების გამომწვევ მიზეზებზე არაფერია მითითებული, თუმცა წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ძირითადად განპირობებულია შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორად განსაზღვრით.
- აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების სრული ანალიზი და გადახდილი თანხების სისტემურობისა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე დაყრდნობით განისაზღვროს დასაგეგმი საბიუჯეტო პარამეტრები.

დღივდენდები

- 2017 წელს ბიუჯეტის შემოსავლებში დღივდენდის სახით ჩაირიცხა 3 223,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 119,4 %-ია და 1 618,0 ათასი ლარით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. 2012-2017 წლებში საწარმოებიდან მიღებული დღივდენდების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 30 საწარმოდან, 2017 წელს, ისევე

როგორც წინა წლებში, დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 6 საწარმოს, საიდანაც 2 საწარმოს¹ მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 97,9%-ს შეადგენს.

- აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება. ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, რითაც გამკაცრდა ნაღდი ფულის გამოტანა, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია, თუმცა კვლავ რჩება მნიშვნელოვანი სახის პრობლემები. კერძოდ:
 - 2017 წელს ვერ მოხერხდა საწარმოთა საბალანსო მონაცემებში რიცხული დავალიანებების იდენტიფიცირება, რომლებმაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანების ნაწილში - 879,2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანების ნაწილში 774,2 ათასი ლარი შეადგინა;
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარმოდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოთა ბალანსზე ირიცხება 29414,5 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოებში ან ფიზიკურად არ არის, ან მათ საკუთრებად არ არის რეგისტრირებული;
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს.
- აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამდიერდეს მუშაობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედი საწარმოების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, სათანადო საზედამხედველო კონტროლის დაწესებისა და შესაბამისად, მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საწარმოთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების და ძირითადი აქტივების იდენტიფიცირებასა და სრულად აღრიცხვაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ და ქონებრივ მდგომარეობას, ასევე აქტივების ეფექტიან მართვას.

დასკვნა გადასახდელების ნაწილზე

გადასახდელების ათვისება

- 2017 წლის საბალანსო მონაცემებით, გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 290 709,8 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის (306 200,0 ათასი ლარი) 94,9 %-ია და 1,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების ათვისების მაჩვენებელი დაბალია. ბიუჯეტის შესრულების შესახებ აუდიტის სამსახურში წარმოდგენილ

¹ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 2609,0 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-545,0 ათასი ლარი.

ანგარიშს არ ახლავს განმარტებები დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხას შორის არსებულ შეუსაბამობაზე და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში², რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები აუთვისებელია, რაც გამოწვეულია ძირითადად სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიით და რიგი განუხორციელებელი პროგრამებითა და აქტივობებით.

2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზისას, საყურადღებოა ფისკალური წლის დასასრულს „ხარჯების“ მუხლით საბიუჯეტო გეგმის ათვისების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. კერძოდ, „ხარჯების“ მუხლით დეკემბერში ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა, 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 163,6%-ით აღემატება. წლის ბოლოს ბიუჯეტიდან „ხარჯების“ მუხლით გადახდილი თანხების არსებითი ზრდა, საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს. აღნიშნული, ერთი მხრივ, განაპირობებს საბიუჯეტო გეგმის მაღალი შესრულების მაჩვენებლით წარმოჩენას და მეორე მხრივ, წარმოშობს საბიუჯეტო რესურსის არაეფექტიანად/არმიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

- მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომლებიც 2017 წლის შედეგებით შესრულების სხვადასხვა სახის სირთულეებით გამოირჩევა და რომლებიც 2018 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული. აღნიშნული ხელს შეუწყობს მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად, დასახული მიზნების შესრულებას. ამასთანავე, მიზანშეწონილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავდეს სრულ ინფორმაციას ყველა იმ პროგრამის შესახებ, რომელთა მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები განისაზღვრა დაგეგმვის ეტაპზე, რათა დაინტერესებული მხარეებისათვის შესაძლებელი გახდეს პროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულად ათვისებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას.

შრომის ანაზღაურება

- 2016 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა შემცირებულია 4,8 %-ით, რომლის ძირითადი ნაწილი პრემია-დანამატებზე მოდის, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთანავე, მხარჯავი დაწესებულებების მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ანალიზისას გამოვლინდა სხვა რიგი ხარვეზები. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებად მხარჯავ დაწესებულებებში

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 110-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

- საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის მიმდინარე შესრულების ანგარიშში არ ხდება ანგარიშგება მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში წლის განმავლობაში რეალურად (შტატგარეშე მომუშავეთა გათვალისწინებით) დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობის შესახებ. შედეგად, გაურკვეველია როგორი მიზეზ - შედეგობრივი კავშირია შრომის ანაზღაურების სახით გაცემულ საბიუჯეტო სახსრებსა და დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობას შორის.
- მიზანშეწონილია, ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას რეალურად (პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში) დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.
- მნიშვნელოვანია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების დანერგვის მიმართულებაზე, რაც უზრუნველყოფდა დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

გადასახდელის გადანაწილება

- საანგარიშო პერიოდში „ხარჯების“ მუხლით აუთვისებელია 11439,5 ათასი ლარი, რაც შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არათავისდროული შესრულებითა და სამტატო ვაკანსიებით არის გამოწვეული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიღებული ეკონომიებით გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისათვის შესაბამისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.
- მხარჯავი უწყებების მხრიდან, საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ლიმიტების დაკმაყოფილების მიუხედავად, საყურადღებოა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობის საკითხი, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.
- 2017 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხდებოდა სახსრების მიმართვა იმ გადასახდელის დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება თავიდანვე შეიძლებოდა შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში, ხოლო მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხები, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოიყო, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების ფუნქციური დანიშნულების დუბლირებას იწვევს.
- მიზანშეწონილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფონდებიდან თანხები გამოიყოს აღნიშნული ფონდების ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად. ამასთანავე აუცილებელია, მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობა დროულად და სრულად განისაზღვროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული

სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.

კრედიტის მომსახურების ხარჯები

- „აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ განხორციელების მიზნით მიღებული სესხის ათვისება 2017 წელს არ მომხდარა. შედეგად, ყოველწლიურად - 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, სესხის ათვისებელ ნაწილზე (2,7 მლნ. ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, ათვისებელი თანხის 0,5% ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში ჯამურად გაწეულია 163 522 ევროს არაეფექტიანი ხარჯი³, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხები არ მიმართულა. აღნიშნული განპირობებულია პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების არარსებობით და სხვადასხვა ეტაპზე ხელისშემშლელი⁴ გარემოებებით, რომელთა გადასაჭრელად ქმედითი და დროული ღონისძიებები არ იყო გატარებული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები პროექტის განხორციელების მიზნით.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საკრედიტო რესურსით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი/არაეფექტიანი ხარჯების გაწევის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

- 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი არ ითვალისწინებს, საბიუჯეტო ანგარიშებზე არსებული 11 935,5 ათასი ლარის გამოყენებას. საბიუჯეტო რესურსის არასრულ გამოყენებასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, რომლის მიხედვით, საბიუჯეტო ნაშთის შემცირება მხოლოდ 91 000,0 ათასი ლარით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების (მათ შორის, აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია) გათვალისწინებით, კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, გადასახდელების დასაფინანსებლად გამოსაყენებელი თანხა 4 000,0 ათასი ლარით გაიზარდა და 95 000,0 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა, 2017 წლის 31 დეკემბრის

³ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს - 30,0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს - 3,0 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს - 119,3 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას - 11,3 ათასი ევრო.

⁴ ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილის ცვლილება, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ.

მდგომარეობით არსებული ნაშთის გათვალისწინებით, 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გამოუყენებელი რჩება 11 935,5 ათასი ლარი.

- აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ამ მიმართებით არსებული რეზერვების სრული გამოყენება, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პრიორიტეტული სფეროების საბიუჯეტო დაფინანსებას.

მხარჯავი დაწესებულებების საკუთარი შემოსავლები

- მთავრობის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიერ საკუთარი შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის შესახებ, რაც არ იძლევა ამ მხრივ მიღწეული შედეგების სწორად გაანალიზების საშუალებას.
- აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ. აღნიშნული დაწესებულებების ბიუჯეტიდან დაფინანსების სრულყოფის მიზნით, გაანალიზებულ იქნეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული.

აღრიცხვა - ანგარიშგება

- საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით კვლავ შეინიშნება არსებითი ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში მხარჯავი დაწესებულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს მათ ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე, აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში დარღვეულია მარეგულირებელი ნორმები, რაც თავის მხრივ, შიდა კონტროლის სისუსტეებზე მიუთითებს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია სრულად აღირიცხოს საბიუჯეტო დაწესებულებების საკუთრებაში თუ სარგებლობაში არსებული აქტივები და ვადებულებები, რაც განაპირობებს მმართველობის შესაბამისი ორგანოების მხრიდან მათ გამოყენებასა და დაფარვასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელისთვის უტყუარად და სამართლიანად წარდგენა, მათი მხრიდან ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება აგრეგატულ დონეზე


2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები, შესაბამისად, 252 943,0 ათასი ლარით და 306 200,0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2017 წლის საბალანსო მონაცემებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 285 088.5 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 112,7%-ია, ხოლო გადასახდელების სახით ფაქტიურად გადახდილია 290 709,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,9 %-ია.

		გეგმის შესრულება	გეგმა	გადახრა	გეგმის შესრულება (%)
შემოსულობები	2016	220921,0	215465,0	5456,0	102,5%
	2017	285088,5	252943,0	32145,5	112,7%
გადასახდელები	2016	186090,6	193267,0	-7176,4	96,3%
	2017	290709,8	306200,0	-15490,2	94,9%

ცხრილი N1. 2016-2017 წლების შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები გეგმასთან მიმართებაში (ათასი ლარი)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლის შემოსულობების გეგმის შესრულების მაჩვენებელი 10,2 პროცენტული პუნქტით გაზრდილია, ხოლო გადასახდელების გეგმის შესრულების მაჩვენებელი - 1,4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი გაზრდილია 37 478,0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი - 112 933,0 ათასი ლარით.

2016-2017 წლებისათვის შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული კომპონენტების შესრულების მდგომარეობა, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებაში, წარმოდგენილია N1 დიაგრამაზე.



დიაგრამა N1. შემოსულობების კომპონენტების შესრულება (ათასი ლარი)

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წელს მიღებული შემოსავლების მოცულობამ 248 797,7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 108,7% შეადგინა და 5,9 პროცენტული პუნქტით მეტია 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

შემოსავლების კომპონენტები	2017 წლის გეგმა	ფაქტობრივი შესრულება	გადახრა	გეგმის შესრულება (%)
საგადასახადო შემოსავლები	210000,0	222876,4	12876,4	106,1%
სხვა შემოსავლები	18783,0	25921,3	7138,3	138,0%
სულ:	228783,0	248797,7	20014,7	108,7%

ცხრილი N2. 2017 წლის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 89,6%-ია.



დიაგრამა N2. შემოსავლების კომპონენტების განაწილება (%)

შემოსავლის სახით მობილიზებული სახსრების ჯამური ოდენობა 36,1%-ით (2015 წელთან მიმართებაში - 182819,6 ათასი ლარი) და 22,9%-ით (2016 წელთან მიმართებაში - 202 441,5 ათასი ლარი) აღემატება გასული წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

შემოსავლების კომპონენტები	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.	ზრდის ტემპი 2016-2017 წწ.
საგადასახადო შემოსავლები	167384,7	185370,9	222876,4	10,8%	20,2%
გრანტები	5788,6	500,0	0	-91,4%	-100,0%
სხვა შემოსავლები	9646,3	16570,6	25921,3	71,8%	56,4%
სულ:	182819,6	202441,5	248797,7	10,7%	22,9%

ცხრილი N3. 2015-2017 წლებში შემოსავლების მობილიზების დინამიკა (ათასი ლარი)

2.1.1 საგადასახადო შემოსავლები

2017 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, საგადასახადო შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 210 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადი) მობილიზებულმა მოცულობამ 2017 წელს 222 876,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106,1% შეადგინა.

(ათას ლარებში)	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.	ზრდის ტემპი 2016-2017 წწ.
საშემოსავლო გადასახადი	143763,4	167384,7	185370,9	222876,4	16,4%	10,7%	20,2%

ცხრილი N4. 2014-2016 წლებში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დინამიკა (ათასი ლარი)

2.1.2 სხვა შემოსავლები

2017 წლის ბიუჯეტის კანონით სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 18 783,0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2017 წელს „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობამ 25 921,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 138,0%-ს შეადგენს, საიდანაც შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“, ხოლო ყველაზე დაბალით - „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ სახით მიღებული შემოსავლები ხასიათდება, რომლებიც 2017 წლის გეგმასთან მიმართებით, შესაბამისად, 238,0%-სა და 108,4%-ს შეადგენს. სხვა შემოსავლების სახით მიღებული შემოსავლების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2016 წელი	2017 წლის გეგმა	2017 წელი	გადახრა	2017 წლის შესრულება (%)	ზრდის ტემპი 2016-2017 წწ.
შემოსავლები საკუთრებიდან	14580,6	17460,0	23689,6	6229,6	135,7%	62,5%
პროცენტები	11383,4	13000,0	17865,4	4865,4	137,4%	56,9%
დივიდენდები	1605,0	2700,0	3223,0	523,0	119,4%	100,8%
რენტა	1592,2	1760,0	2601,3	841,3	147,8%	63,4%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	672,0	623,0	675,3	52,3	108,4%	0,5%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	114,3	100,0	128,0	28,0	128,0%	12,0%

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1203,6	600,0	1428,4	828,4	238,1%	18,7%
სულ:	16570,5	18783,0	25921,4	7138,3	138,0%	56,4%

ცხრილი N 5. 2016-2017 წლებში სხვა შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი)

როგორც ცხრილიდან ჩანს, სხვა შემოსავლების 2017 წლის გეგმური მაჩვენებელი 7138,3 ათასი ლარის გადაჭარბებითაა შესრულებული. ცალკეული კომპონენტის მხრივ, აღსანიშნავია „საქონლისა და მომსახურების“, „სანქციების“ და „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ მუხლებით გეგმის გადაჭარბებით შესრულება.


შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის არაარგუმენტირებულად, წინა წლის ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებზე ნაკლები ოდენობით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, რომლის მიხედვით, „სხვა შემოსავლების“ 2017 წლის გეგმური მაჩვენებელი 6 620,0 ათასი ლარით განისაზღვრა, მაშინ როდესაც, 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, შემოსავლების აღნიშნულ კომპონენტში მობილიზებული იყო 10 278,0 ათასი ლარი. მიუხედავად აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, მდგომარეობა არ შეცვლილა 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრისას, სადაც „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 3 783,0 ათასი ლარით შემცირებულად დაიგეგმა.

მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მკვეთრი გადახრების გამომწვევ მიზეზებზე არაფერია ნათქვამი, თუმცა წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ძირითადად განპირობებულია შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორად განსაზღვრით.

სხვა შემოსავლების შემადგენელი ცალკეული კომპონენტის სახით მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპის და გეგმის შესრულების მაღალი დონე, აღნიშნული კომპონენტების არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს.

2.1.3 დივიდენდები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან, ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა, 2017 წლის ბიუჯეტის კანონით, 2 700,0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2017 წელს დივიდენდების სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხა 3 223,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 119,4 %-ია და 1 618,0 ათასი ლარით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს.



დიაგრამა N3. 2012-2017 წლებში მიღებული დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2012-2017 წლებში საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 30 საწარმოდან 2017 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 6 საწარმოს, საიდანაც 2 საწარმოს⁵ მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 97,9%-ს შეადგენს. კერძოდ: შპს „სავაჭრო ცენტრ 2009-ს“ ბიუჯეტში დივიდენდის სახით გადახდილი აქვს 2609,0 ათასი ლარი, ხოლო შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანას“ - 545,0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად განახლდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს შესახებ (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაცია. ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, რითაც გამკაცრდა ნაღდი ფულის გამოტანა, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია. ამასთანავე, ნაკლებად ეფექტიანია საწარმოთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დაფარვისა და იდენტიფიცირებისათვის გატარებული ღონისძიებები. კერძოდ: 2016 წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებები შემცირებულია 1 343,9 ათასი ლარით და 19 085,8 ათასი ლარს შეადგენს, ხოლო კრედიტორული დავალიანება შემცირებულია 4 269,7 ათასი ლარით და 8 709,6 ათას ლარს შეადგენს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხებიდან, დებიტორული დავალიანების ნაწილში - 879,2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანების ნაწილში - 774,2 ათასი ლარი, არაიდენტიფიცირებული დავალიანებაა, რომლებიც წლების განმავლობაში ირიცხება საწარმოთა ბალანსებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარმოდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოთა ბალანსზე ირიცხება 29 414,5 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებების ძირითადი აქტივები, რომელთა ნაწილი საწარმოებში ფიზიკურად არ არის ან მათ საკუთრებად არ არის რეგისტრირებული. მაგალითად:

- შპს „ივერია PS-ის“ ბალანსზე ირიცხება 11 დასახელების 27,6 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ არის რეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად; ბალანსზე ირიცხება ასევე 8 ერთეული, 67,7 ათასი ლარის ნარჩენი

⁵ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 2609,0 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ - 545,0 ათასი ლარი.

საბალანსო ღირებულების საცხოვრებელი სახლი, რომლებიც საჯარო რეესტრის ამონაწერების შესაბამისად, მობინადრეებზეა დარეგისტრირებული და 17 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და 4 ერთეული ბამბუკის ტალავერი, რომელთა ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი;

• შპს „ქობულეთის მეფრინველეობის საწარმოო გაერთიანებას“ დაფუძნების მომენტისათვის⁶ ბალანსზე ერიცხებოდა 30 დასახელების ძირითადი საშუალება, სულ ღირებულებით - 206,0 ათასი ლარი და 43 დასახელების მანქანა-დანადგარი, ღირებულებით 42,5 ათასი ლარი. მოკვლეული მასალების შესაბამისად, აღნიშნული აქტივების ადგილმდებარეობის შესახებ კომპანიას ინფორმაცია არ გააჩნია.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს.

რეკომენდაცია

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

გამლიერდეს მუშაობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედი საწარმოების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, სათანადო სახედამხედველო კონტროლის დაწესებისა და შესაბამისად მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საწარმოთა დებიტორულ - კრედიტორული დავალიანებებისა და ძირითადი აქტივების იდენტიფიცირებასა და სრულად აღრიცხვაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკურ და ქონებრივ მდგომარეობას, ასევე აქტივების ეფექტიან მართვას.

2.2 არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები

შემოსულობების მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა

არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული თანხების ოდენობამ 2017 წელს 33 185,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის წლიური გეგმის 157,6% -ია და 15 395,4 ათასი ლარით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე.

2017 წელს ძირითადი აქტივების პრივატიზების შედეგად მიღებულია 7 488,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 374,4 %-ია და 5 593,0 ათასი ლარით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე. არაწარმოებული აქტივების პრივატიზებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 135,2%-ით, ანუ გეგმა შესრულებულია 6 641,9 ათასი ლარის გადაჭარბებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებში მატერიალური მარაგების რეალიზაციის სახით ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით, პროგრამით მოსარგებლე პირთა მიერ გადახდილი 180,3 ათასი ლარი.

⁶ 01.01.1998.

არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსულობების უფრო დეტალური დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

არაფინანსური აქტივების კლება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	ზრდის ტემპი 2014-2015 წწ.	ზრდის ტემპი 2015-2016 წწ.	ზრდის ტემპი 2016-2017 წწ.
ძირითადი აქტივები	1731,5	3522,0	1895,6	7488,6	103,4%	-46,2%	295,1%
მატერიალური მარაგები	891,1	882,0	746,2	180,3	-1,0%	-15,4%	-75,8%
არაწარმოებული აქტივები	3134,9	11914,6	15148,6	25517,0	280,1%	27,1%	68,4%
ჯამი:	5757,5	16318,6	17790,4	33185,9	183,4%	9,0%	86,5%

ცხრილი N6. 2014-2017 წლებში არაფინანსური აქტივების კლების შესრულების დინამიკა (ათასი ლარი)

2017 წელს ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულია 3 105,0 ათასი ლარი, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს“ 100 %-იანი და სს „დასასვენებელი სახლი „შუქურას“ 99,96 %-იანი წილის გაყიდვიდან არის მიღებული.

მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის მკვეთრი გადახრების გამომწვევ მიზეზებზე არაფერია ნათქვამი, თუმცა წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული გადახრები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების არასწორ განსაზღვრასთან არის დაკავშირებული.

რეკომენდაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების სრული ანალიზი და გადახდილი თანხების სისტემურობისა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე დაყრდნობით განისაზღვროს დასაგეგმი საბიუჯეტო პარამეტრები.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

3.1 ხარჯები

2017 წლის მონაცემებით, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 65.1 % (189 353,1 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 94.3%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში გადასახდელების დანარჩენი კომპონენტების სახით გადახდილ იქნა 101 356,7 ათასი ლარი.

დასახელება	2017 წლის წლიური გეგმა	2017 წლის საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების პროცენტი
ხარჯები	200792,6	189353,1	11439,5	94,3%
შრომის ანაზღაურება	36068,9	35385,3	683,6	98,1%
საქონელი და მომსახურება	35278,2	33643,1	1635,1	95,4%
პროცენტები	410,0	341,6	68,4	83,3%
სუბსიდიები	3577,1	3529,1	48,0	98,7%
გრანტები	93465,4	87382,4	6083,0	93,5%
სოციალური უზრუნველყოფა	9954,3	9906,8	47,5	99,5%
სხვა ხარჯები	22038,8	19164,7	2874,1	87,0%

ცხრილი N7. 2017 წლის ხარჯების გეგმის შესრულება (%)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში „ხარჯების“ მუხლით ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობამ 189 353,1 ათასი ლარი შეადგინა და 11 439,5 ათასი ლარით ჩამორჩა 2017 წლის გეგმურ მაჩვენებელს. „ხარჯების“ მუხლის ათვისებლობა ძირითადად გამოწვეულია შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არადროული შესრულებითა და სამტატო ვაკანსიებით. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ტენდერებისა და განუხორციელებელი პროგრამების შედეგად მიღებული ეკონომიებით გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისათვის, შესაბამისი ღონისძიებები არ განხორციელებულა. მაგალითად:

- საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რომლის საბიუჯეტო გეგმა „საქონლის და მომსახურების“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებით იყო წარმოდგენილი, ათვისებულია 310,5 ათასი ლარი, რაც შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და თოვლის საფარის გაწმენდისთვის გათვალისწინებული ხარჯების გამოუყენებლობამ განაპირობა;


- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომლის საბიუჯეტო გეგმაც „სხვა ხარჯების“ მუხლით იყო წარმოდგენილი, ათვისებულია 180,1 ათასი ლარი. აღნიშნული განაპირობა იმან, რომ პროგრამის ბენეფიციარები ვერ აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და შესაბამისად, დაფინანსება შეწყდა;

- მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში „ოფისის ხარჯების“ მუხლით ათვისებულია 94,0 ათასი ლარი, რაც შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ განაპირობა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი“, რომლის საბიუჯეტო გეგმა „საქონლის და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით იყო წარმოდგენილი, ათვისებულია 69,9 ათასი ლარი, რაც პროგრამის ფარგლებში ჩატარებული

ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ⁷ და სარეკლამო მომსახურების⁸ მიმწოდებელი კომპანიის⁹ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულებამ გამოიწვია;

◦ „შრომის ანაზღაურების“ მუხლში საბიუჯეტო გეგმის აუთვისებლობა ძირითადად საბიუჯეტო დაწესებულებებში არსებული ვაკანსიებით არის გამოწვეული.



დიაგრამა N4. რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (%)

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, გაზრდილია ხარჯები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ისეთი მუხლების მიხედვით, როგორებიცაა: „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 8 204,1 ათასი ლარით, „პროცენტის“ მუხლი - 33,6 ათასი ლარით, „სუბსიდიების“ მუხლი - 305,1 ათასი ლარით, „გრანტები“ - 38 256,9 ათასი ლარით, „სოციალური უზრუნველყოფა“ - 904,5 ათასი ლარით და „სხვა ხარჯების“ მუხლი - 1 118,6 ათასი ლარით. ამავე დროს ხარჯები შემცირებულია: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით - 2 790,7 ათასი ლარით.

2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ანალიზისას, საყურადღებოა ფისკალური წლის დასასრულს „ხარჯების“ მუხლით საბიუჯეტო გეგმის ათვისების მკვეთრი ზრდის ტენდენცია. კერძოდ, „ხარჯების“ მუხლით დეკემბერში ათვისებული საბიუჯეტო რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 163,6%-ით აღემატება, რაც ძირითადად დაკავშირებულია ხარჯების შემდეგი კომპონენტების ზრდასთან: „სუბსიდიები“, „გრანტები“ და „სხვა ხარჯები“. აღნიშნული მუხლებით 2017 წლის დეკემბერში გადახდილი თანხების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ „გრანტების“ მუხლით ფინანსირების ზრდა, მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტების დასრულებასთანაა დაკავშირებული, თუმცა „სუბსიდიებისა“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებით

⁷ 34592 ლარი.

⁸ აჭარის რეგიონის შესახებ სტატიის გამოქვეყნება ჟურნალ „ფორბსში“.

⁹ შპს „ლუქ პროდაქშენი“, ხელშეკრულების ღირებულება - 35282 ლარი.

საბიუჯეტო სახსრების თანაბარპროპორციული ათვისება, სათანადო დაგეგმვის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა.

N	დასახელება	დეკემბერი	11 თვის საშუალო მაჩვენებელი	სხვაობა პროცენტულად
	ხარჯები	36606,8	13886,0	163,6%
	შრომის ანაზღაურება	3994,5	2853,7	40,0%
	საქონელი და მომსახურება	3421,4	2747,4	24,5%
	პროცენტი	153,8	17,1	801,3%
	სუბსიდიები	824,1	245,9	235,1%
	გრანტები	21799,5	5962,1	265,6%
	სოციალური უზრუნველყოფა	1045,1	805,6	29,7%
	სხვა ხარჯები	5368,4	1254,2	328,0%

დიაგრამა N8. რესპუბლიკური ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის ყოველთვიური დინამიკა

ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის ტენდენციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულმა თანხებმა. სულ, 2017 წლის დეკემბერში, წინასწარი ანგარიშსწორების სახით გაცემულია 9 083,9 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გადასახდელების საკასო ხარჯის 10,0 %-ია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლით წარმოჩენას.

წლის ბოლოს ბიუჯეტიდან „ხარჯების“ მუხლით გადახდილი თანხების არსებითი ზრდა, საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს, რაც, ერთი მხრივ, განაპირობებს საბიუჯეტო გეგმის მაღალი შესრულების მაჩვენებლით წარმოჩენას და მეორე მხრივ, წარმოშობს საბიუჯეტო რესურსის არაეფექტიანად/არმიზნობრივად ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს:

მიზანშეწონილია შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ბიუჯეტის თანაბარპროპორციულად ათვისებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას.


3.2 ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდა

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით 2017 წელს გახარჯულია 61 974,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,7%-ია. 2017 წელს ამ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი 25 143,5 ათასი ლარით მეტია 2016 წლის საკასო ხარჯზე.


„ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით 2017 წელს გახარჯულია 38 033,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100 %-ია. აღნიშნული განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილის მქონე საწარმოების საწესდებო კაპიტალის ზრდით. კერძოდ, 2017 წელს სს „აჭარის წყლის ალიანსს“ საწესდებო კაპიტალი გაეზარდა 33,8 ათასი ლარით, ხოლო შპს „სტადიონს“ – 38 000,0 ათასი ლარით.

4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

წლიური ბიუჯეტის დანახარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2017 წლის დაგეგმილი გადასახდელების საკასო შესრულებამ 251 327,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 94,4% შეადგინა.



დიაგრამა N5. 2017 წლის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (%)



დიაგრამა N6. 2016 წლის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური სტრუქტურა (%)

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია სახელმწიფო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, (32 061,2 ათასი ლარი - 50,0%) და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების (31 985,9 ათასი ლარი - 59,1%) დაფინანსებები. ამასთანავე, 4,6 პროცენტული პუნქტით, ანუ 175,7 ათასი ლარით

გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება, ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფერო 2017 წელს არ დაფინანსებულა.

5. შრომის ანაზღაურება

2017 წელს ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულ იქნა 35385,3 ათასი ლარი, რაც რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების 18.7%-ს შეადგენს.

შრომის ანაზღაურება	2016 წლის საკასო ხარჯი	2017 წლის საკასო ხარჯი	ზრდის ტემპი 2016-2017
შრომის ანაზღაურება	38176,0	35385,3	-4,8%
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	26094,0	25000,5	-4,2%
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	5359,5	5183,2	-3,3%
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	6150,9	4637,8	-24,6%
ხელფასები ფულადი ფორმით - კომპენსაცია	571,6	563,8	-1,4%

ცხრილი N9. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შემადგენელი კომპონენტების დონეზე (ათასი ლარი)

2016 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების მოცულობა შემცირებულია 4,8 %-ით, რომლის ძირითადი ნაწილი პრემია-დანამატებზე მოდის, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების ანალიზისას გამოვლენილ იქნა სხვა რიგი ხარვეზები. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებად მხარჯავ დაწესებულებებში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ ხვდება ანგარიშგება მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში წლის განმავლობაში რეალურად (შტატგარეშე მომუშავეთა გათვალისწინებით) დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობის შესახებ. შედეგად, გაურკვეველია როგორი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია შრომის ანაზღაურების სახით გაცემულ საბიუჯეტო სახსრებსა და დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობას შორის.

რეკომენდაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

- მიზანშეწონილია, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მოიცავდეს ინფორმაციას რეალურად (პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში) დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ;

- მნიშვნელოვანია, მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების დანერგვის მიმართულებაზე, რაც უზრუნველყოფდა დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

ცალკეული ორგანიზაცია-დაწესებულების მიხედვით (დაქვემდებარებული მხარჯავი დაწესებულებების ჩათვლით), 2017 წელს ბიუჯეტის გეგმის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო	4916,8	4800,9	97,6%
აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისია	627,2	626,2	99,8%
აჭარის ა/რ მთავრობა	67638,2	64798,9	95,8%
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	26140,4	24767,2	94,7%
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	46575,3	44079,4	94,6%
აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	16250,6	16187,1	99,6%
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	12277,6	11127,6	90,6%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	131773,9	124322,5	94,3%
ჯამი:	306200,0	290709,8	94,9%

ცხრილი N10. 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება (ათასი ლარი)

საყურადღებოა, რომ 2017 წელს გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი 94,9 %-ია, თუმცა ცალკეული პროგრამა და ქვეპროგრამა ათვისების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

კოდი	პროგრამების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის საკასო ხარჯი	ათვისება (%-ად)	2018 წლის გეგმა
04 12	ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდება	247,1	0.00	0.0%	595.4
05 03 02	საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	300,0	0.00	0.0%	0
03 03 03 03	ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა	15,5	2,2	14.3%	27.0
07 07 04	სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება	126,8	55,2	43.5%	0
03 03 01 03	კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	2,5	1,2	47.6%	4.0
07 06 04	მაღალეფექტიანი მრავალწლიანი სასოფლო- სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	1,624,1	971,6	59.8%	829.9
09 07 01	წყლით მომარაგებისა და წყალანირების სისტემები აჭარის ნახევრად ურბანული და სოფლის მოსახლეობისათვის	165,0	102,2	62.0%	0

05 04 05	უცხოეთში სტაჟირება	10,6	6,8	64.2%	11.0
05 05	განათლების ხარისხის გაუმჯობესება	127,0	93,5	73.6%	250.0
05 13 10 02	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	1,533,9	1,131,8	73.8%	1729.0
05 04 04	უმადლესი განათლების ხელშეწყობა	147,5	111,2	75.4%	196.0
07 05 02	აგრარული ექსტენციის მიწოდება	4,2	3,2	76.7%	0
05 04 06	სწავლა საზღვარგარეთ	325,0	252,3	77.6%	500.0
05 13 12 01	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	1,163,6	918,7	79.0%	736.7

ცხრილი N11. რიგი ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

რესპუბლიკური ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით 2013 წლიდან მზადდება, რაც საბიუჯეტო პროცესში შედეგების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებას გულისხმობს. მხარჯავი დაწესებულებების მიერ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, რესურსების ეფექტიანი გადანაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აუდიტის სამსახურში წარმოდგენილ ანგარიშს, არ ახლავს განმარტებები დაზუსტებულ ასიგნებასა და გადახდილ თანხას შორის ზემოთ მოყვანილ შეუსაბამობაზე და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში¹⁰, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისებლობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიითა და რიგი პროგრამებისა და აქტივობების განუხორციელებლობით. მაგალითად:

◦ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის საბიუჯეტო გეგმა 59,8%-ით შესრულდა, ანუ პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 652,5 ათასი ლარი, რაც შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ განაპირობა;

◦ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდების შესახებ“ პროგრამის ფარგლებში 2017 წელს საკასო ხარჯი არ არის გაწეული. პროგრამის განხორციელება, სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ევალებოდა, თუმცა სამსახურის

¹⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 110-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

დაკომპლექტების მიზნით გამოცხადებული კონკურსი უშედეგოდ დასრულდა და შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი ორგანო ვერ შეიქმნა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების“ პროგრამის ბიუჯეტი 73,8%-ით შესრულდა, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 402,1 ათასი ლარი. გეგმის შეუსრულებლობა ჩატარებული ტენდერებით მიღებულმა ეკონომიამ და ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განუხორციელებლობამ განაპირობა. კერძოდ, ვერ განხორციელდა: ე.წ. „საბაგის სახლის“ რეაბილიტაცია - 97,0 ათასი ლარი¹¹, პეტრას ციხის რეაბილიტაცია - 80,0 ათასი ლარი¹², არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა - 14,0 ათასი ლარი¹³;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში 2017 წელს საკასო ხარჯი არ გაწეულა. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აუთვისებელია 300,0 ათასი ლარი. პროგრამის განუხორციელებლობა საპანსიონო სწავლებისადმი მიდგომის ცვლილებამ¹⁴ განაპირობა.

- საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების 2017 წლის საბიუჯეტო გეგმა 94,3%-ით არის შესრულებული, ანუ აუთვისებელია 7451,4 ათასი ლარი. აუთვისებლობა ძირითადად ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ გრანტებზე მოდის, რაც მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული გრანტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიისა და შესაბამისი პროექტების დადგენილ ვადაში დაუსრულებლობამ განაპირობა. მაგალითად:

- შუახევის მუნიციპალიტეტში, სხალთის ხეობიდან ფურტო-ბარათაული-ნენიისათვის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 3767,0 ათასი ლარიდან, 2017 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილია და გრანტის სახით მუნიციპალიტეტზე ჩარიცხულია 3075,0 ათასი ლარი. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში აუთვისებელია 692,0 ათასი ლარი, რადგან პროექტი დადგენილ ვადაში არ დასრულდა;

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ორთაბათუმში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 825,9 ათასი ლარიდან, 2017 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილია და გრანტის სახით მუნიციპალიტეტზე ჩარიცხულია 536,0 ათასი ლარი. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში აუთვისებელია 289,9 ათასი ლარი, რაც პროექტის ფარგლებში ჩატარებული შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიისა და სამუშაოების დადგენილ ვადაში დაუსრულებლობით არის გამოწვეული;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ჩოლოქის დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იყო 118,0 ათასი ლარი.

¹¹ ტენდერის უარყოფითი შედეგების გამო.

¹² პროექტი შეჩერდა ციხის დაგეგმილი სრული ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო.

¹³ ტექსტების მეცნიერულ დონეზე დამუშავების პროცესის საანგარიშო პერიოდში დაუსრულებლობის გამო.

¹⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წლის 27 აპრილის NMES 1700417092 წერილის შესაბამისად დაგეგმილია 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა-პანსიონების, პანსიონურ ნაწილში პირველკლასელთა ჩარიცხვის პროცედურის შეჩერება.

ნაგავსაყრელის მოწყობასთან დაკავშირებით მოსახლეობის უარყოფითი პოზიციის გათვალისწინებით, მშენებლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდა, რის გამოც 2017 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აღნიშნული პროექტის ფარგლებში საბიუჯეტო თანხების ხარჯვა არ განხორციელებულა;

აღსანიშნავია, რომ პროგრამების საბიუჯეტო ასიგნების აუთვისებლობის მიზეზების გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება რეგიონის პრიორიტეტული სფეროების დაფინანსების მიმართულებით, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მხარჯავ დაწესებულებებს შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებიათ, რაც საბიუჯეტო პროცესში არსებულ ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

მხარჯავ დაწესებულებებს:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომლებიც 2017 წლის შედეგებით, შესრულების სხვადასხვა სახის სირთულეებით გამოირჩევა და რომლებიც 2018 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის, საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად, დასახული მიზნების შესრულებას. ამასთანავე, მიზანშეწონილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავდეს სრულ ინფორმაციას ყველა იმ პროგრამის შესახებ, რომლისთვისაც მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები განსაზღვრულ იქნა დაგეგმვის ეტაპზე, რათა დაინტერესებული მხარეებისათვის შესაძლებელი გახდეს პროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება.

7. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გადანაწილებები

მხარჯავი უწყებების მხრიდან, საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ლიმიტების დაკმაყოფილების მიუხედავად, საყურადღებოა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობის საკითხი, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ 2017 წელს განხორციელდა 157 ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, საერთო თანხით - 7 880,2 ათასი ლარი. შედარებით მასშტაბურობით ხასიათდება:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ცვლილებები, სადაც 2017 წელს განხორციელდა 55 ცვლილება, რის შედეგადაც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილდა 2 061,3 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში განხორციელდა 36 ცვლილება, საერთო თანხით - 2 006,1 ათასი ლარი;

რიგ შემთხვევებში, ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე, რაც პროგრამების ბიუჯეტის არასათანადო გაანგარიშებებზე მიუთითებს. მაგალითად:

◦ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პროგრამის - „ეკონომიკური ობსერვატორია“, „საქონლის და მომსახურების“ მუხლიდან - 7,5 ათასი ლარი, პროგრამის - „შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო სარეკრეაციო ადგილების ურბანული განვითარების“ „საქონლის და მომსახურების“ მუხლიდან - 8,7 ათასი ლარი, „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის“ პროგრამის, „სუბსიდიის“ მუხლიდან - 81,8 ათასი ლარი, სულ - 98,0 ათასი ლარი, გადატანილია პროგრამის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვის“ „საქონელი და მომსახურების“ მუხლში. აღნიშნული გადანაწილების მიზეზად ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვა სახელდება;

◦ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებაში განხორციელებული ცვლილებით¹⁵, შემცირებულია სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების 7 პროგრამის ასიგნება, საერთო თანხით - 262,1 ათასი ლარი და აღნიშნული თანხით გაიზარდა სამინისტროს 5 პროგრამის ასიგნება. აღნიშნული გადანაწილების მიზეზად შესაბამისი პროგრამების მიმართ მაღალი მოთხოვნილება სახელდება.

რეკომენდაცია

მხარჯავ დაწესებულებებს:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დამატებითი ყურადღება დაეთმოს საბიუჯეტო ასიგნებათა განსაზღვრას, რაც კონკრეტული უწყების, შესაბამისი პროექტებისათვის საჭირო რესურსების სრული და დროული ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. აღნიშნული თავიდან აგვაცილებს ასიგნებების ხშირ გადანაწილებას და ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფონდები

8.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით 4 407,7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. რაც შეეხება ათვისებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4 051,8 ათასი ლარი,

¹⁵ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N287, 26.12.2017.

რაც წლიური გეგმის 91,9%-ს უტოლდება. სარეზერვო ფონდიდან თანხები ძირითადად ფიზიკურ პირებზე მატერიალური დახმარებისა და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დასახელება	თანხა
ა(ა)იპ - „აგროსერვისცენტრი“	248,5
აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	8,4
აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	180,8
აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	567,6
მუნიციპალიტეტები	3046,5
ჯამი:	4051,8

ცხრილი N12. 2017 წლის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების განაწილება (ათასი ლარი)

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით¹⁶, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა რესპუბლიკური ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად“. აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას იმ გადასახდელების დაფინანსებით, რომელთა გათვალისწინება ობიექტური გარემოებების გამო, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიის შედეგების ან ცალკეული პირობითი ვალდებულებების დაფინანსება.

- 2017 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, რიგ შემთხვევებში ხდებოდა სახსრების მიმართვა იმ გადასახდელების დასაფინანსებლად, რომელთა გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში, სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა. მაგალითად:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 31 მარტის N56 ბრძანებით, ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით, მაღალი გამავლობის ორი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოეყო 272,0 ათასი ლარი;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 9 აგვისტოს N159 ბრძანების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს - მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამკერი მოწყობილობების შესაძენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 180,8 ათასი ლარი.

აღნიშნული შესყიდვები არ განეკუთვნება გაუთვალისწინებელ, მოულოდნელ მოვლენებს და შესაბამისად, შესაძლებელი იყო თანხები ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ყოფილიყო გათვალისწინებული მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების 22%, ანუ 125,0

¹⁶ 90-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ათასი ლარი, ფიზიკური პირების ერთჯერადი დახმარებისა და სამედიცინო ხარჯების დაფარვისთვისაა გამოყოფილი, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აღნიშნული შინაარსისა და დანიშნულების პროგრამები 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჰქონდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოსახლეობის მიერ დახმარების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული დანიშნულებით გამოყოფილი თანხები შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულების ბიუჯეტში, პროგრამული ასიგნების სახით იქნეს გათვალისწინებული.

8.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები 2017 წლისათვის 17 200,0 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავ პერიოდში აღნიშნული ფონდიდან გაწეულ იქნა 16 860,0 ათასი ლარის ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 98,0%-ით. ფონდიდან თანხები გამოყოფილია შემდეგი რაოდენობით და დანიშნულებით:

N	მიმღები	თანხა	დანიშნულება
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	6541,7	ინფრასტრუქტურული პროექტები და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1409,5	ინფრასტრუქტურული პროექტები და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	496,5	ინფრასტრუქტურული პროექტები
4	ქედის მუნიციპალიტეტი	1740,5	ინფრასტრუქტურული პროექტები
5	შუაქვეის მუნიციპალიტეტი	1978,6	ინფრასტრუქტურული პროექტები
6	ხულოს მუნიციპალიტეტი	412,7	ინფრასტრუქტურული პროექტები
7	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	3139,3	კურორტ გოდერძიზე ფიზიკური პირებისაგან მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა
8	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	1141,2	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები
ჯამი:		16860,0	

ცხრილი N13. აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტებისათვის პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები (ათასი ლარი)

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით¹⁷ რეგულირდება, რომლის შესაბამისად, ფონდიდან გამოყოფილი თანხები შეიძლება სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო სხვა პროექტებს მოხმარდეს.

2017 წელს მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხები, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დასაფინანსებლადაც გამოიყო. აღნიშნული დანიშნულებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა, როგორც აღინიშნა, სარეზერვო ფონდის ფუნქციური დანიშნულებაა და შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების დანიშნულების დუბლირებას იწვევს.

¹⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N5 დადგენილება.

რეკომენდაცია

მხარჯავ დაწესებულებებს:

აუცილებელია, მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან დროულად და სრულად განისაზღვროს წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფონდებიდან თანხების გამოყოფა, აღნიშნული ფონდების ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად განხორცილდეს.

9. საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების 2017 წლის საბიუჯეტო ასიგნება 131 773,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 124 322,5 ათას ლარს შეადგენს, რაც 2017 წლის საბიუჯეტო გეგმის 94,3 %-ია.

საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე, რადგან პროექტის დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. კერძოდ:

„აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა აუდიტის პერიოდისათვის პროექტის განხორციელება არ დაწყებულა და არც სესხის ათვისება მომხდარა. შედეგად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2,7 მლნ. ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0,5% ოდენობით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, ჯამურად გაწეულია 163 522 ევროს არაეფექტიანი ხარჯი¹⁸, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხები არ მიმართულა. აღნიშნული განპირობებულია პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების არარსებობით და სხვადასხვა ეტაპზე ხელისშემშლელი¹⁹ გარემოებებით, რომელთა გადასაჭრელად ქმედითი და დროული ღონისძიებები არ იყო გატარებული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები პროექტის განხორციელების მიზნით, კერძოდ:

◦ ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები გამოსყიდულია კერძო პირებისაგან, რისთვისაც 151 ბენეფიციარზე გადახდილია 2 503,8 ათასი ლარი;

¹⁸ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს - 30,0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს - 3,0 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს - 119,3 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას - 11,3 ათასი ევრო.

¹⁹ ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილის ცვლილება, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ.

- პროექტის განმახორციელებელი ორგანოს შპს „ჰიგიენა 2009-ის“ მიერ, ელექტრონული ტენდერის გზით შერჩეულია მშენებლობის ზედამხედველი კომპანია;
- 2018 წლის 30 იანვარს დასრულდა ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის ტენდერის შეფასების პირველი ეტაპი და შეფასების ანგარიში გადაეგზავნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს. სათანადო პროცედურების (სავარაუდოდ, 1 (ერთი) თვე) შემდეგ გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია და სავარაუდოდ, მშენებლობა დასრულდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვეში.

რეკომენდაცია

პროექტის განმახორციელებელ დაწესებულებებს:

საკრედიტო რესურსით, განსაკუთრებით მსგავსი ტიპის სესხებით მიღებული თანხების მაქსიმალურად ეფექტიანად (მინიმალური ხარჯების გაწევით) გამოყენებისა და სესხზე არამიზნობრივი/არაეფექტიანი ხარჯების გაწევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ პროექტის შესრულების ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარებით, ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების დროულ და ეფექტიან გამოყენებას.

10. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსის შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბალანსო მთლიანი სალდო 30 656,4 ათას ლარს შეადგენს, რაც 9 424,0 ათასი ლარით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე. ბიუჯეტის ბალანსის კომპონენტების შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ბიუჯეტის ბალანსი	დეზუსტებული გეგმა	ფაქტობრივი შესრულება
შემოსავლები	228783,0	248797,7
ხარჯები	200792,6	189353,1
საოპერაციო სალდო	27990,4	59444,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	44378,3	28788,3
მთლიანი სალდო	-16387,9	30656,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	-18328,2	29307,5
ვალდებულებების ცვლილება	-1940,3	-1348,8
ბალანსი	0	0
წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები		113 556,8
საანგარიშო პერიოდისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები		107 935,5

ცხრილი N14. აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები (ნაშთი) 113 556,8 ათას ლარს შეადგენდა. 2017 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 5 621,3 ათასი ლარით შემცირდა და 107935,5 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან სს „თიბისი ბანკის“ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულია 100 000,0 ათასი ლარი, ხოლო ხაზინის ანგარიშზე - 7 935,5 ათასი ლარი.

საბიუჯეტო რესურსის არასრულ გამოყენებასთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე, რომლის მიხედვით, საბიუჯეტო ნაშთის შემცირება მხოლოდ 91 000,0 ათასი ლარით იყო გათვალისწინებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების (მათ შორის, აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია) გათვალისწინებით, კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, გადასახდელების დასაფინანსებლად გამოსაყენებელი თანხა 4 000,0 ათასი ლარით გაიზარდა და 95 000,0 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული ნაშთის გათვალისწინებით, 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გამოუყენებელი რჩება 11 935,5 ათასი ლარი.

რეკომენდაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:

აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს საბიუჯეტო პარამეტრების სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს განხორციელდეს ბიუჯეტის სწორი და რეალისტური დაგეგმვა, რომელიც არსებული რეზერვების გამოყენებით პრიორიტეტული სფეროების სრული დაფინანსების შესაძლებლობას განაპირობებს.

11. მხარჯავი დაწესებულებების საკუთარი შემოსავლები

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, 2017 წელს გრძელდებოდა იმ მხარჯავ დაწესებულებათა ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომლებიც შემოსავლების მიღების მიზნით ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. ჩატარებული აუდიტების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წელს საკუთარი შემოსავლის სახით სულ მიღებულია 7 037,4 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების 21,2 %-ს შეადგენს.

N	დასახელება	საბიუჯეტო დაფინანსება	საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლების ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
1	ა(ა)იპ - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო	815.4	175.6	40.4
2	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო	2936.2	718.3	678.3
3	სსიპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	1100.2	50.9	0.0
4	სსიპ - ბათუმის ბულვარი	7217.1	3509.8	1137.5
5	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია	255.3	166.7	151.8
6	ა(ა)იპ - ბათუმის ბიზნესინკუბატორი	72.7	120.6	39.2
7	სსიპ - აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა	271.5	49.1	2.2
8	სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	371.6	989.4	238.7

9	ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრი	2999.5	481.4	12.2
10	სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	666.7	97.7	20.0
11	სსიპ - აჭარის ხელოვნების მუზეუმი	216.8	89.1	55.4
12	სსიპ - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „არსიანი“	1510.0	84.2	5.2
13	სსიპ - აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	672.5	17.3	1.9
14	სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დარამატული თეატრი	2061.8	26.2	7.1
15	სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მყურებელთა სახელმწიფო თეატრი	918.7	89.9	25.1
16	სსიპ - აჭარის ვოკალური სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმი“	724.4	7.6	0.5
17	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	4308.3	120.9	11.2
18	სსიპ - აჭარის სახელმწიფო ხალხური ცეკვის ანსამბლი „ხორუმი“	792.8	13.7	1.2
19	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	1741.9	461.2	284.1
20	ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა	343.8	5.8	1.7
21	ა(ა)იპ - ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა	30.2	60.9	26.2
22	ა(ა)იპ - მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე	323.7	36.3	7.0
23	ა(ა)იპ - ბათუმის სასპორტო სკოლა	1129.8	115.1	5.1
24	ა(ა)იპ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა	1229.6	6.8	0.0
25	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი	294.6	9.3	5.7
26	სსიპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე	140.4	6.0	1.9
ჯამი:		33145.5	7037.4	2759.6

ცხრილი N15. მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლები (ათასი ლარი)

„2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კონსოლიდირებული ფისკალური მონაცემების შესახებ. კერძოდ, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების აგრეგატული მაჩვენებელი არ მოიცავს სსიპ-ების მიერ კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლებით განხორციელებულ ოპერაციებს. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის მაჩვენებლების გაანგარიშებაში, რაც არ იძლევა შედეგების გაანალიზების საშუალებას.

რეკომენდაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მხარჯავ დაწესებულებებს:

აუდიტის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ. აღნიშნული დაწესებულებების ბიუჯეტიდან დაფინანსების სრულყოფის მიზნით, გაანალიზებულ იქნეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული.

12. აღრიცხვა-ანგარიშგება

საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რაც უფრო გამჭვირვალეს ხდის ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას, გაზრდის როგორც საზოგადოების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების (ინვესტორების, დონორების) მიმართ ანგარიშვალდებულების ხარისხს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული რეფორმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა, ბოლო წლებში საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა - ანგარიშგების კუთხით კვლავ შეინიშნება არსებითი ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, უმეტეს შემთხვევებში მხარჯავი დაწესებულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს მათ ფინანსურ მდგომარეობას. ამასთანავე, აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში ირღვევა მარეგულირებელი ნორმები, რაც, თავის მხრივ, შიდა კონტროლის სისუსტეებზე მიუთითებს. კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებში აქტივების წმინდა ღირებულება - 1141,2 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივები - 979,6 ათასი ლარით, კაპიტალი - 1453,3 ათასი ლარით, არასაოპერაციო შემოსავლები - 714,1 ათასი ლარით და საცნობარო მუხლი - 1225,5 ათასი ლარით უზუსტოდ არის წარმოდგენილი. მაგალითად:

- სსიპ - ბათუმის ბულვარს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან უსასყიდლოდ მიღებული მიწის ნორმატიული ღირებულება 965,6 ათასი ლარი, „წმინდა ღირებულების“ ნაცვლად, „ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებში“ აქვს აღრიცხული;

- საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული 72,0 ათასი ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ფილები და 245,4 ათასი ლარის ღირებულების სარწყავი არხები ნაცვლად „გრანტებისა“, აღრიცხული აქვს „არასაოპერაციო შემოსავლებად“;

- სსიპ - სატყეო სააგენტოს, ნაცვლად საცნობარო მუხლში (07) ასახვისა, არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე აღრიცხული აქვს ორგანიზაციის მიერ ტყეებში გზების მოწყობაზე გაწეული დანახარჯები - 396,7 ათასი ლარის ოდენობით.

- ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლზე უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემული 710,6 ათასი ლარის ღირებულების აქტივები, ნაცვლად „სხვა შემოსავლებისა“, ასახულია „გრანტებში“.

- სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ ნარჩენი ნულოვანი ღირებულების ძირითადი აქტივები არ არის ასახული 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, საცნობარო მუხლში რიცხული აქტივების ნაშთი 1,190,3 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია:

მნიშვნელოვანია, სრულად აღირიცხოს საბიუჯეტო დაწესებულებების საკუთრებაში თუ სარგებლობაში არსებული აქტივები და ვალდებულებები, რაც განაპირობებს მმართველობის შესაბამისი ორგანოების მხრიდან მათ გამოყენებასა და დაფარვასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამასთანავე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელზე უტყუარად და სამართლიანად წარდგენა მათი მხრიდან ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.